პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 127 (2490) ◉ სამშაბათი, 30 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

## 7-დან 6 ოქროს მედალი — საბჭოთა ძალოსნებს!




# ი. ვლასოვის შესანიშნავი აკორდი

დამთავრდა ევროპის უძლიერეს ძალოსანთა ჩემპიონატი. ასპარეზობის ბოლო დღეს უნდა გამოერკვია კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენები ქვემძიმე და მძიმე წონებში.

ქვემძიმე წონაში არმიელმა სპორტსმენმა ხაბაროვსკიდან 25 წლის ვ. გოლოვანოვმა საბჭოთა გუნდს მეხუთე ოქროს მედალი შესძინა. იგი ევროპის ჩემპიონი გახდა და სამჭიდის ჯამში 480 კილოგრამის დაგროვებით ლ. მარტინის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი გაიმეორა.

...და მაინც ჩემპიონატის გვირგვინი იყო ი. ვლასოვის გამოსვლა ფიცარნაგზე.

უკვე პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში მან 190 კილოგრამი აჰვენა, რაც მის ერთადერთ მსოფლიო რეკორდზე 2,5 კილოგრამით მჩატეა. უკვე შემდეგ მოძრაობაში — ატაცში მან თავისი საუკეთესო შედეგი 165 კილოგრამი გაიმეორა. ორი მოძრაობის ჯამში 255 კილოგრამის დაგროვების შემდეგ სპეციალისტთა უმრავლესობამ იფიქრა, რომ კლასიკურ სამჭიდში ლ. ჟაბოტინსკის მსოფლიო რეკორდს დიდი დღე არ ეწერა, რადგან ი. ვლასოვი განსაკუთრებით ძლიერია სამჭიდის უკანასკნელ მოძრაობაში—აკვრაში. დარბაზის კედლები მქუხარე ტაშმა შეძრა, როცა ი. ვლასოვმა გაჭიმულ ხელებზე 207,5 კილოგრამი გაყინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამჭიდში მან 562,5 კილოგრამი დააგროვა, რაც ლ. ჟაბოტინსკის მსოფლიო რეკორდს 2,5 კილოგრამით აღემატება. შესანიშნავმა საბჭოთა ძალოსანმა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად დაიბრუნა მსოფლიოს რეკორდიც კლასიკური სამჭიდის ჯამში. ნამდვილად შესანიშნავი აკორდია! 6 ოქროს მედალი 7-დან. საბჭოთა ძალოსნებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი სამართლიანად ითვლებიან უძლიერესებად ევროპაში. საბჭოთა გუნდმა ზედიზედ მეთოთხმეტედ მოიპოვა ევროპაში უძლიერესი კოლექტივის სახელი. თავისებური რეკორდი დაამყარა ი. ვლასოვმაც, რომელიც ზედიზედ მეექვსედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა კ. ჯონსონმა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თქვა: „მოსკოვის ტურნირმა გვიჩვენა, რომ ძალოსნები უტევენ რეკორდებს. საბჭოთა ძალოსნებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ უძლიერესები არიან. რაც შეეხება შეჯიბრების ორგანიზაციას, ისე, როგორც ყოველთვის, მოსკოვში იგი სანიმუშო იყო“.

## ჩვენი ფედერაციის პლენუმზე

გუშინ, მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სპორტული პრესისა და რადიოს საკავშირო ფედერაციის პლენუმმა.

სსრ კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი ვ. ნოვოსკოლცევი.

## ვ. ბელიაევის წარმატება

მოსკოვში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა კონტინენტის ჩემპიონის სახელისათვის, როცა ოდესაში ძალოსანთა საქალაქო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრები გუნდის სპორტსმენებმა და მსოფლიო რეკორდით აღნიშნეს ასპარეზობა.

შესანიშნავად გამოვიდა ქვესაშუალო წონის არმიელი ძალოსანი, კიეველი ვ. ბელიაევი. მან აკვრაში 176 კილოგრამი აჰვენა, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდზე ნახევარი კილოგრამით მძიმეა.

## მეოთხედფინალში

უიმბლდონის ტურნირზე კიდევ ორი შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ჩოგბურთელების თ. ლეიუს — ს. ლიხაჩოვის წყვილმა. მათ ჯერ მოუგეს უძლიერეს ჭაბუკთა წყვილს — ინგლისელებს სტილიუელ — მეტიუზს — 9:7, 6:3, 6:4, შემდეგ დაამარცხეს კანადელები კარპენტერ — გოდბუდი — 6:3, 6:4, 6:3, ხოლო მეოთხედფინალში წააგეს ოსუნა — პალაფოქსთან — 4:6, 8:10, 6:8. დმიტრიევა — ლიხაჩოვის შერეულმა წყვილმა მოუგო ვეიდ — კურტისს — 6:1, 6:4. ავსტრიელ პახტასთან ერთად დმიტრიევამ გაიმარჯვა ამერიკელ კლარკ — ფულტონთან შეხვედრაში — 6:3, 6:3.

ტურნირის სენსაცია იყო ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის ესპანელ სანტანას წაგება დასავლეთგერმანელ სპორტსმენ კუნკესთან — 3:6, 5:7, 8:6, 4:6. ძალზე საინტერესო იყო უიმბლდონში 1962 წელს გამარჯვებულის ამერიკელ ხენტცე — სუსმენისა და 1963 წელს გამარჯვებულის ავსტრალიელ სმიტის შეხვედრა. გაიმარჯვა ამერიკელმა (11:9, 6:0).

ამრიგად, ქალთა შეჯიბრების მეოთხედფინალში გავიდა სამი ამერიკელი, ორი ავსტრალიელი, ამდენივე ინგლისელი და ერთი ბრაზილიელი ჩოგბურთელი.

# ო. ეგაძე და დ. გვანცელაძე — ჩემპიონები

საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში



ო. ეგაძე



დ. გვანცელაძე

ლენინგრადი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის სპორტსმენთა შორის.

მჩატე წონაში წარმატებას მიაღწია საქართველოს წარმომადგენელმა **ო. ეგაძემ** („განთიადი“). მან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა და დამსახურებულად მოიგო ოქროს მედალი.

მსუბუქ წონაში აშკარა იყო ასევე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის **დ. გვანცელაძის** („ბურევესტნიკი“) უპირატესობა, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

საშუალო წონის მოჭიდავეთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა ა. კიროვმა. მოულოდნელი გამოდგა მძიმე წონაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავის ა. როშჩინის მარცხი. მან ჩემპიონის ტიტული დაუთმო ახალგაზრდა სპორტსმენს მოსკოვის ოლქიდან ნ. შმაკოვს.

ქვემოდ მოგვყავს ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

**მჩატე** — 1. ო. ეგაძე (თბილისი, „განთიადი“), 2. ვ. ტროსტიანსკი (კიევი, საბჭოთა არმია), 3. ა. გუკასიანი (ერევანი, „სპარტაკი“).

**მსუბუქი** — 1. დ. გვანცელაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 2. გ. მარკოვი (კიროვი, „დინამო“), 3. ო. კორბატი (კიევის ოლქი, „კოლხოზნიკი“).

**საშუალო** — 1. ა. კიროვი (მოსკოვი, საბჭოთა არმია), 2. ა. იურკევიჩი (ლენინგრადი, „ბურევესტნიკი“), 3. რ. ბოგდანასი (კიევი, საბჭოთა არმია).

**მძიმე** — 1. ნ. შმაკოვი (მოსკოვის ოლქი, „სპარტაკი“), 2. ა. როშჩინი (ლენინგრადი, საბჭოთა არმია), 3. ვ. შკარანი (ზაპოროჟიე, „დინამო“).

▲ **თეირანი.** ადგილობრივ სტადიონზე „მოჰამედ რეზა შაჰი“ საქართველოს ფრენბურთელი ქალები კიდევ ერთ მატჩში შეხვდნენ ირანელ კოლეგებს. სტუმრებმა ადვილად დაამარცხეს მასპინძლები — 3:0.

▲ **ჰავანა.** უკვე ერთი კვირაა კუბაში სტუმრად იმყოფებიან თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეები. მათ რამდენიმე ერთობლივი წვრთნა ჩაატარეს კუბელ ატლეტებთან, შემდეგ კი ამხანაგური შეხვედრა გამართეს ჰავანის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა.

ჰავანაში გამოსვლის შემდეგ საბჭოთა გუნდი კიდევ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს მატანსესის, კამაგუეის და ორიენტეს პროვინციებში.

▲ **ჟენევა**, 29 ივნისი. მეორე წელია ზედიზედ ინარჩუნებენ მოტოციკლისტთა საერთაშორისო ფედერაციის გარდამავალ თასს საბჭოთა სპორტსმენები. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მრავალი ქვეყნის 600-ზე მეტი სპორტსმენი. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ესტონეთის, სომხეთის, იჟევსკისა და კოვროვის მოტოციკლისტები. სომეხმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მოტორალის ფოლკლორული დათვალიერების პრიზიც — თავიანთი სიმღერებისა და ცეკვებისათვის.

▲ **ვარშავა**, 29 ივნისი. მოტოციკლებით საგზატკეცილო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები — გ. კურილენკო, ი. პლეხანოვი და ბ. სამოროდოვი. ისინი უძლიერესნი იყვნენ შვეციის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოტოციკლისტთა შორის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა 3 საბჭოთა მოტოციკლისტი გავიდა ჩემპიონატის გადამწყვეტ შეჯიბრებაში.

▲ **გომელი.** გუშინ აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ II ქვეჯგუფის გუნდები — ადგილობრივი „სპარტაკი“ და თბილისის „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:0.

* * *

გაიმართა ამ ქვეჯგუფის შემდეგი მატჩები: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „ალგა“ (ფრუნზე) — სკა (ოდესა) 3:0, „დინამო“ (ტალინი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი) 1:0.

▲ **ჰელსინკი.** ფინეთის დედაქალაქში გაიმართა ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის უძლიერეს ტყვიით მსროლელთა მატჩი. ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს საბჭოთა სპორტსმენებმა იაროშმა და ქველიაშვილმა.



# რეკორდი ოლიმპიური ნორმატივით

თბილისში გამართულ რესპუბლიკის იუნიორთა პირველობაზე წარმატებით გამოვიდა კონკურსგარეშე მონაწილე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი კ. გორძემაშვილი (მწვრთნელი ნ. ლოგუანიძე). მან შუბის ტყორცნაში ერთ-ერთ ცდაზე აჩვენა 77,60 მეტრი და 1,12 მეტრით გააუმჯობესა ჰ. დაოვის ძველი რესპუბლიკური რეკორდი. კ. გორძემაშვილმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი.

სურათზე: კ. გორძემაშვილი ტყორცნის შუბს.
ფოტო ი. იუნაევისა.

# საბჭო აბარებს ანგარიშს

,,შრომითი რეზერვების" II რესპუბლიკურ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ჩიხლაძე.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელიც ,,შრომითი რეზერვების" საბჭომ ჩაატარა საანგარიშო პერიოდში, აღნიშნა, რომ პროფტექნიკურ სასწავლებელთა ქსელი გაიზარდა 15 ერთეულით, სპორტის 30 სახეობაში სისტემატურად მუშაობს 150 სექცია. ამაღლდა იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. ყოველწლიურად ტარდება შიდასაკოლექტივო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. სამაგალითო მუშაობით გამოირჩევიან თბილისის მე-5, მე-6, მე-18, 31-ე, 32-ე, ბათუმის 1-ლი, ხიდისთავის, რუსთავის სასწავლებლების, აგრეთვე ქუთაისისა და თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმების კოლექტივები.

მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანი მხარეებიც. ფიზკულტურული მუშაობა დაბალ დონეზე დგას ვალეს 29-ე, კაზრეთის 25-ე, თბილისის 41-ე და 36-ე სასწავლებლებში. აქ არ ითვისებენ საპროგრამო მასალას, არარეგულარულად მუშაობენ სექციები, იშვიათად ეწყობა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ფიზკულტურული ბაზების მოწყობას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზსაბჭოს თავმჯდომარემ ი. ბიბილეიშვილმა, ქუთაისის მე-4 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა გ. ნოდიამ, ,,შრომითი რეზერვების" მთავარმა მწვრთნელმა მძლეოსნობაში ო. ელიაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ცალკეული კოლექტივების საქმიანობის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე.

ინტერესით იქნა მოსმენილი საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის გამოსვლა. მან აღნიშნა ,,შრომითი რეზერვების" მასობრივი მუშაობის კარგი დონე და გააკრიტიკა მწვრთნელთა მუშაობა ნაკლები პროდუქტიულობისთვის (სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე რესპუბლიკურ ნაკრებში ამ საზოგადოების მხოლოდ 8 სპორტსმენი გამოდიოდა).

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ,,შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი პ. ალექსეევი.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება, რის შემდეგ გაიმართა არჩევნები. ,,შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია მ. ჩიხლაძე, მოადგილეებად — გ. კირვალიძე და კ. მიქიაშვილი.

# ოთხ სპარტაკიადაზე გამიზვნით

ახლახანს დამთავრებული მოსწავლეთა XVI რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრება, ყველა მისი წინა ღონისძიებანი წარმოადგენდნენ ჩვენი მარქაფის შემოწმებას მომავალი ოთხი საკავშირო სპარტაკიადისთვის, დაწყებული მიმდინარე წლის ზონალური შეჯიბრებითა და დამთავრებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი 1967 წლის ხალხთა სპარტაკიადით.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ?

განსაკუთრებით სასიხარულოა მეორე ასაკობრივი ჯგუფის (1948-49 წლებში დაბადებულნი) სპორტსმენთა მაჩვენებლები, რომლებიც მჭიდროდ მიუახლოვდნენ უფროსთა შედეგებს და ზოგჯერ გადააჭარბეს კიდეც. მაგალითად, ორმა თბილისელმა—ვარდო ქუთათელაძემ და გალინა კონონენკომ 100 მ რბენაში შეასრულეს I თანრიგი, ამასთან კონონენკომ გააუმჯობესა უმცროსი ასაკის გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი. ქუთათელაძის მაჩვენებელი 200 მ რბენაში (26,1) და კონონენკოსი — სიგრძეზე ხტომაში (565 სმ) საუკეთესო იყო ორივე ჯგუფისთვის.

აღსანიშნავია უმცროსთა სხვა მაჩვენებლებიც. დამწყებმა ლამარა ჩივაძემ (ტყიბული) ბადრო ტყორცნა 34,52 მეტრზე, ფოთელი ვალერი ჯანაშვილი გადახტა 633 სანტიმეტრზე. მეტად პერსპექტულნი არიან სოხუმელი მრავალჭიდელი გურამ არაშამია, თბილისელები ვალერი ჩალოვი და ვლადიმერ ჩერნოვი, გოგონათა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ბათუმელი ჯულიეტა ხოფერია.

თბილისელი მოსწავლის ელიზბარ გაბარევის დრო (11,3) 100 მეტრზე რბენაში მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა უფროს ასაკში უძლიერეს დავით პონომარიოვის შედეგს. ბათუმელმა იური კოვენკომ ბაქოში გამართულ მატჩზე 800-გრამიანი შუბი 57,20 მეტრზე ტყორცნა. ეს მეტად ახლო დგას სპარტაკიადაზე უფროს ასაკში გამარჯვებულ იური არეპინის შედეგთან — 58,47 მ. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისელმა მოსწავლეებმა ვლადიმერ ჩერნოვმა (15,6) და მიხეილ ფრიდმანმა (16,1) თარჯრბენში.

რაც შეეხება უფროს ასაკს, გასული წლის სპარტაკიადასთან შედარებით ამჯერად უკეთესი შედეგები იქნა ნაჩვენები, კერძოდ, 400 მეტრზე გოგონათა რბენაში თბილისელ ლილი საკოვასა (1.01,0) და სოხუმელ ლიუდმილა შაბანოვას (1.01,2) მიერ. ხუთჭიდში ოთხმა გოგონამ მოიპოვა გაცილებით უკეთესი შედეგი, ვიდრე გასული წლის სპარტაკიადაზე ჰქონდა გამარჯვებულს.

იგივე შეიძლება ითქვას 800 მეტრზე რბენის, ბირთვის კვრისა და უროს ტყორცნის შესახებაც. ამ შეჯიბრებაზე თბილისელმა ბორის კროვჩენკომ 800 მეტრზე რბენაში 2.01,7 აჩვენა. გაგრელმა ნიკოლოზ ნოვიკოვმა ბირთვი ჰკრა 16,11 მეტრზე, რაც შარშანდელ შედეგს 19 სანტიმეტრით აღემატება. როლანდ ჩიტაიშვილმა ამავე პერიოდის შედეგს (51,19 მეტრი) ამჯერად 1,61 მეტრი წაუმატა.

საერთოდ, გოგონები მიმდინარე წელს უკეთესად მომზადებული აღმოჩნდნენ, ვიდრე შარშანდელ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე. პროგრამის 10 სახეობიდან 5 აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს, ხოლო 4 ოდნავ ჩამორჩება.

რაც შეეხება ჭაბუკებს, გუნდი ჯურჯერობით სუსტად გამოიყურება. მათ შედეგები გააუმჯობესეს პროგრამის სამ სახეობაში და გააუარესეს შვიდში.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში რაიონებში ვერ შეძლეს რესპუბლიკის ნაკრებისთვის თუნდაც ერთი წევრის აღზრდა. შედარებით უკეთ იმუშავეს მახარაძელმა მწვრთნელებმა გ. ერქომაიშვილმა, გ. გვარჯალაძემ და ვ. ბლიაძემ, რომლებმაც 5 პრიზიორი მოამზადეს. ამ და ზოგიერთ მძლეოსანთა სხვა კარგი მაჩვენებლის წყალობით მახარაძელებმა II ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილი დაიკავა ახმეტამ, რომლის წარმოგზავნილები — ნაკრების წევრი ნუგზარ ფაქიზაშვილი და ოთხი პრიზიორი — ნათელა აბრამიშვილი, ჰამლეტ ალექსოვი, ლენა ტუგულაშვილი და იოსებ ხოხობაშვილი ახლა გლდანის ინტერნატში სწავლობენ.

ანანურელ მასწავლებელ დ. ქავთარაძეს თავის აქტივში აქვს ამჟამად გლდანის ინტერნატის მოსწავლეების, რესპუბლიკური ნაკრების წევრების ციმი ჩოლიაშვილის, ომარ ოდიშვილის, აგრეთვე ანანურელი მოსწავლის ნინო ჯაბანაშვილის საპრიზო ადგილები.

III ჯგუფში უძლიერესი იყო გორის გუნდი, მაგრამ მის წევრთაგან ვერც ერთი ვერ მოხვდა რესპუბლიკურ ნაკრებში.

კარგად უმუშავიათ აფხაზეთის მძლეოსანთა მწვრთნელებს. სპარტაკიადის სამი ჩემპიონი მოამზადა სოხუმელმა ა. კერსელიანმა, ხოლო ორი — გაგრელმა ნ. ივანოვმა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ერთად აღებული ბათუმისა და ცხინვალის სპეციალური მძლეოსნური სკოლების, აგრეთვე ქუთაისის ყველა მწვრთნელის აღზრდილთა მიერ ნაჩვენები შედეგები.

ბათუმის სკოლას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა ეჭიროს რესპუბლიკაში. მან კი მარტო 2 პირველი ადგილის მოპოვება შეძლო, ამასთან შედეგები გაუარესდა, ან ძველ დონეზე დარჩა. უარესადაა საქმე ცხინვალსა და ქუთაისში. ქუთაისელებმა მოიპოვეს 2 პირველი ადგილი და ისიც — ერთმა გოგონამ—ჯულიეტა ჩუბინიძემ (მწვრთნელი დ. ეფრემაშვილი).

სპარტაკიადის 19 ჩემპიონი მოამზადა თბილისის მძლეოსნურ სკოლაში (დირექტორი ე. გაგუა), ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მწვრთნელ ფ. ბურიაკოვის მოსწავლეებმა. 6 პირველი ადგილი, რესპუბლიკური რეკორდი! აი, მათი მაჩვენებლები.

ბევრი არაფერი აქვთ სატრაბახო სპორტსაზოგადოებათა მწვრთნელებს. გამონაკლისს შეადგენენ დინამოელი ა. კერსელიანი, სპარტაკელი ვ. სუხოტინი და ბურევესტნიკელი ვ. შმაკოვი.

მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებს ძნელი გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი. ტალინში, ზონალურ სპარტაკიადაზე, მათ ბრძოლა მოუწევთ ლენინგრადის, ბელორუსიის, ესტონეთის ლატვიისა და ლიტვის გუნდებთან.

**ბ. ტახტაროვი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# ნავები — წყალქვეშ, მოედანი — უპატრონოდ

არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს თბილისის ზღვას და მაინც მის ფსკერზე არაერთი საწყლოსნო ინვენტარი ,,განისვენებს". ისინი გრიგალისა ან სამკვდრო-სასიცოცხლო საზღვაო ბრძოლის მსხვერპლნი არ არიან, არამედ სრულიად უბრალო შემთხვევისა — უპატრონობის, უსულგულო დამოკიდებულების.

თბილისის სპორტკავშირის საწყლოსნო სადგურის ტერიტორიაზე, დირექტორის კაბინეტის წინ, კარგა ხანია ასე მიუსაფრად ჰყრია ნავები ღია ცის ქვეშ, მიწაზე, წყალში (სურათი ზევით). მოუვლელობით მწყობრიდან გამოვიდნენ და ახლა ძირგავარდნილი ნავები თუ კატერები დიდი ფანტაზიის მქონე პატარების გასართობად გადაქცეულან. დახედეთ მეორე სურათს. როგორი მზრუნველობით ათვალიერებენ ბიჭუნები ოდესღაც ზღვაზე მოსრიალე კატერს. ვინ იცის, ორიოდე წლის წინ მათ იქნებ სწორედ ამ ნავით გადაუსერავთ თბილისის ზღვა.

ზაფხულის მცხუნვარე დღეებში აქტიური დასვენების ბევრი მსურველი მოდის თბილისის ზღვაზე. ბანაობენ, სურვილი აქვთ ითამაშონ ფრენბურთი, კალათბურთი. მაგრამ სად?... არსადაა ფრენბურთის მოედანი. კალათბურთის ბაზა კი... ფარი ,,კისრამდეა" ქვაღორღში ჩაფლული. კალათბურთის მოყვარულებმა მაინც არ მოიწყინეს, სადღაც მოძებნეს ბაგირი, ჩააბეს უპატრონო ნავს და...

ერთი, ორი, სამი! აბა ერთად! — განკარგულებას იძლეოდა ერთი. ნაპირისაკენ წამოათრიეს ნავი, წყალი ცურვისთვის მაინც გავათავისუფლოთო.

ფრენბურთის მოყვარულებმაც ნახეს გამოსავალი — ციცაბოზე სახელდახელო წრე შეკრეს და ბურთი ჰაერში შეისროლეს (ქვედა სურათი).

საინტერესოა, როდის დაფიქრდებიან თბილისის ზღვის ბაზების მესვეურნი, ,,ნარჩენებისაგან" როდის გაწმენდენ ტერიტორიას და იზრუნებენ სპორტის მოყვარულთათვის?

ფოტო დ. ჩიხელისა.









## დაბალი შედეგებით

ცხინვალის სტადიონზე გაიმართა ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების პირადი პირველობა მძლეოსნობაში.

ხე-ტყის კომბინატის კოლექტივის გარდა ვერავინ შეძლო სპორტსმენთა გამოყვანა ყველა სახეობაში. დაბალი იყო შედეგები.

**ვ. მელქოევი**

# მეტი ყურადღება სპორტულ ექსპონატებს!

მწვანედ მოჩითული ფართო ხეივანი მიგაცილებთ დადიანისეულ ბაღში, სადაც სიცხისაგან გათანგული ასობით მშრომელი აფარებს თავს ასწლოვან ხეთა ჩრდილებს. აქაურები კარგად იცნობენ ბაღის თვითეულ კუნჭულს და დათვალიერების ,,ფუნქციებს" მხოლოდ ჩამოსულნი ასრულებენ. მნახველთა ყურადღების ცენტრშია დადიანთა სიგვარეულო შენობაში მოთავსებული ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

მუზეუმის ექსპონატთა შორის სპორტულ მასალებსაც შეხვდებით. აქაა მოქანდაკე გ. თოიძის ნამუშევარი — ნონა გაფრინდაშვილის ბიუსტი. მინიატურული ფოტოსტენდი ასახავს რაიონული სპარტაკიადის გახსნას, ველოსიპედისტთა, ფრენბურთელთა და მოჭიდავეთა შერკინებას...

სპეციალურ სამუზეუმო მაგიდაზე ორი ალბომია. ერთის სათაურია — ,,მსოფლიო პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის 1962 წელს", მეორისა კი — ,,ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო ცხენოსანთა სპორტული სკოლა (1958-1959 წ.)". ალბომების გვერდითაა ჭადრაკი, რომლის ფიგურებითაც პირველი ნათლობა მიიღო ნონამ.

მუზეუმის ოთახებს მხოლოდ აქ ჩამოთვლილი სპორტული ექსპონატები აქვს. ეს, რა თქმა უნდა, ერთობ ცოტაა იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც შეიძლება.

მუზეუმის მესვეურები დარბაზების გადატვირთვაზე ჩივიან. თქმა არ უნდა, რომ ამ მხრივ დაბრკოლებები არსებობს, მაგრამ ხომ შეიძლება სპორტული სტენდები მოვაწყოთ მუზეუმის ეზოში, სადაც მეტად დიდი შესაძლებლობანი არსებობს.

ფიზკულტურისა და სპორტის სათანადოდ ასახვა საპატიო ამოცანაა. გემოვნებით, საქმის ცოდნით წარმოდგენილი ფოტოსტენდები, დიაგრამები და ცხრილები მნახველს დამაჯერებელ წარმოდგენას მისცემს, თუ რაიონის სამეურნეო მაჩვენებლების მოპოვებას როგორ უწყობს ხელს მშრომელთა მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.

**თ. საანდერაშვილი**

ზუგდიდი.



მომენტი განვლილი მატჩიდან ბათუმისა და ბაქოს „დინამოს“ თანაკლუბელთა შორის. ს უ რ ა თ ზ ე: ბათუმელთა მარცხენა გარემარბი ზ. ურუშაძე გადის მოწინააღმდეგის მცველებს შორის.

ფოტო ა. ტუღუშისა.

## მწვანე გზა — ბავშვთა ფეხბურთს

ალღუმი! დიდ სპორტულ შეჯიბრებათა გახსნის ამ ცერემონიალს ყოველთვის საზეიმო, ამაღელვებელი ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, ასე იყო ამჯერადაც, თუმცა არც შეჯიბრება იყო დიდი მასშტაბისა და არც მის მონაწილეთა შორის იყვნენ გამოჩენილი „ვარსკვლავები“.

მართალია, ცოტა არ იყოს, ორკესტრი გამოიყურებოდა „კუსტარულად“. რომელიღაც სკოლის პიონერები, სულ რამდენიმე კაცი, თავგამოდებით მერავდნენ საკრავებში, ხოლო ერთი მათგანი გამეტებით ურტყამდა უბრალო ჯოხით დოლს. აი, ამ თვითნაკეთი ორკესტრის მარშის ხმაზე თბილისის „დინამოს“ სტადიონის მინდორზე გამოვიდნენ ქუჩების გუნდთა ფინალური ტურნირის მონაწილე ნორჩი ფეხბურთელები. გამოვიდნენ სუფთა სპორტულ ფორმაში გამოწყობილნი, მწყობრი ნაბიჯებით, სრული წესრიგის დაცვით მოეწყვნენ ტრიბუნების წინ და როცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ მიმართა: „აბა თქვენ იცით, ბიჭებო“ — მათ ერთხმად, შეწყობილად უპასუხეს ვეტერანს.

გათამაშების დებულების თანახმად თამაშებში მონაწილეობის უფლება აქვთ ბავშვებს, რომლებიც არ არიან ჩარიცხული სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებში. ქუჩების გუნდებში უხვად აღმოჩნდნენ ნიჭიერი მოთამაშეები.

განვლილ კვირას თბილისის საუკეთესო მინდვრები დაეთმო ნორჩებს და ისინიც ხალისით თამაშობდნენ იქ, სადაც ჩვეულებრივ სახელმოხვეჭილი ოსტატები გამოდიან. ერთმანეთს ხვდებოდნენ სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები. მატჩები მიმდინარეობდა მთელი დღის განმავლობაში.

ფინალური გათამაშება გრძელდება და მაყურებლები დიდ ინტერესს იჩენენ ნორჩ ფეხბურთელთა თამაშებისადმი.

ლ. ბეგიაშვილი

## ფინალში გავიდნენ გერმანელები

ვარშავა. „10 წლისთავის“ სახელობის სტადიონი. 28 ივნისი.
გდრ (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) 4:1 (2:0).
სსრ კავშირი — ლისიცინი, მუდრიკი, შესტერნევი, ხურცილავა, კრუტიკოვი, ლოგოფეტი, კორნეევი, სერგეევი, სერებრიანიკოვი, სევიდოვი, ფადეევი.
გდრ — ჰეინში, ურბანჩიკი, ვალტერი, პანკაუ, გაისლერი, უნგერი, ფრესდორფი, კერნერი, ფრენცელი, კლეიმინგერი, ფოგელი.
მსაჯი — ე. ბაბაუჩეკი (ავსტრია).

ოლიმპიური ფინალური ტურნირის საგზურის მისალებად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელებს დასჭირდათ მესამე, დამატებითი მატჩის ჩატარება, ვინაიდან პირველმა ორმა შეხვედრამ ლაიფციგსა და მოსკოვში ვერ გამოავლინა გამარჯვებული.

გადამწყვეტი მატჩი გერმანელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს და სავსებით დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. პირველი ბურთი გატანილ იქნა უკვე მე-16 წუთზე, როცა საბჭოთა გუნდის მეკარე ლისიცინმა ვერ შეძლო კლეიმინგერის მიერ შორიდან დარტყმული ბურთის აღება. ტაიმის დასასრულს გერმანელთა მარჯვენა მცველის ურბანჩიკის ღრმა რეიდი დამთავრდა მეორე გოლით საბჭოთა ნაკრების კარში — 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში საბჭოთა ფეხბურთელები შესამჩნევად გააქტიურდნენ და სერებრიანიკოვმა საპასუხო გოლის გატანაც შეძლო, მაგრამ ეს იყო პირველი და უკანასკნელი წარმატება. გერმანელი ფეხბურთელები კვლავ დაეუფლნენ მინდორს და 81-ე წუთზე ფოგელმა უშუალოდ კუთხური მოწოდებიდან გაიტანა ბურთი მოწინააღმდეგის კარში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების გამარჯვებას საბოლოოდ დაუსვა წერტილი ფრესდორფმა, რომელმაც მატჩის დასასრულს გაიტანა კიდევ ერთი, მეოთხე ბურთი — 4:1. ტოკიოს საგზური მოიპოვა გდრ-ს ნაკრებმა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ოლიმპიელთა დამარცხება შემთხვევითი არაა. გუნდის შემადგენლობა ხშირად განიცდიდა ცვლილებას და მოთამაშეთა ამ დენადობის გამო კოლექტივში არ იყო მიღწეული სათანადო შეთამაშება. შარშანდელი სეზონის დასასრულს საბჭოთა ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები წვრთნის ჩასატარებლად საგანგებოდ გაემგზავრა სამხრეთ ამერიკას, მაგრამ მაშინდელი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე დარჩა. ამრიგად, საბჭოთა ფეხბურთელები ზედიზედ მეორედ ვერ მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიური თამაშების ფინალში.

• • •

კვირას გამოირკვა ტოკიოს ოლიმპიური ტურნირის კიდევ ერთი, მე-15 მონაწილე: სამხრეთ კორეამ ორ შესარჩევ მატჩში უპირატესობა მოიპოვა სამხრეთ ვიეტნამის გუნდზე (3:0 და 2:2).

ამრიგად, ცნობილია ოლიმპიური ტურნირის 15 ფინალისტი: არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, არგენტინა, ბრაზილია, განა, გდრ, იაპონია, ირანი, იტალია, იუგოსლავია, მაროკო, მექსიკა, სამხრეთ კორეა, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია.

### უკანასკნელ საათს!

გამოირკვა ოლიმპიური ტურნირის მე-16 მონაწილეც — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი, რომელმაც ორივე შეხვედრა მოუგო ტაილანდის გუნდს (2:0, 5:0).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ბ“ კლასი

#### რსფსრ-ს IV ზონა

●

#### „დინამო“ (სოხუმი) — „თერგი“ (გროზნო) 0:1

სოხუმი. 28 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „დინამო“ შეხვდა გროზნოს „თერგს“.

სოხუმელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ შეხვედრას, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს მისი მოგების შესაძლებლობა საკუთარ სტადიონზე. სტუმრებმა პირველ ტაიმში გაიტანეს ერთი ბურთი და შემდეგ მთელი ძალებით იცავდნენ თავს მოწინააღმდეგის იერიშებისაგან. სრული უპირატესობა ჰქონდათ დინამოელებს მეორე ტაიმში და არც ერთი მათი იერიში არ დამთავრებულა გოლით. კიდევ მეტიც: გუნდს მიეცა 11-მეტრიანი დარტყმის უფლება და ჰითანავამ ვერ შეძლო მისი რეალიზება. სოხუმელები დამარცხდნენ — 0:1.

ა. მიქაძე

#### „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ბაქო) 2:1

ბათუმი. 28 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). ზონის ლიდერმა ბათუმის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ბაქოს თანაკლუბელთა გუნდი და მიაღწია გამარჯვებას. ეს 2 ქულა აღებულ იქნა უაღრესად მძიმე ბრძოლაში.

დასაწყისში ყველაფერი მასპინძელთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მათ სწრაფი იერიშით დაიწყეს თამაში და ქვლივიძემ მე-2 წუთზე გახსნა ანგარიში. ბაქოელებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ამაოდ. ტაიმის დასასრულს დანელიამ იმავე ქვლივიძის გადაცემიდან მეორე ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში — 2:0.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ზედმეტი თავდაჯერებით დაიწყეს თამაში. სტუმრებმა კარგად ისარგებლეს ამით, მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და საპასუხო გოლიც გაიტანეს. მათ შემდგომშიც ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა, მაგრამ ვერ შეძლეს მათი გამოყენება. ლიდერმა მძიმე ბრძოლის შემდეგ შეძლო მატჩის მოგება — 2 1.

ვ. მოსეშვილი

#### „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0 : 1

გურჯაანი. 28 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). მორიგ კალენდარულ მატჩში საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები: „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).

სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და მალე მათი შეტევები დამთავრდა ხაზეიშვილის მიერ გატანილი გოლით. შემდგომში თამაში გათანაბრდა და „მეტალურგმა“ შეძლო ამ მინიმალური ანგარიშის შენარჩუნება თავის სასარგებლოდ — 1:0.

გ. ბაქაური

#### „კოლხიდა“ (ფოთი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:1

ფოთი. 29 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). ნორვეგიიდან დაბრუნების შემდეგ ფოთის „კოლხიდა“ ატარებს გამოტოვებულ მატჩებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მას ჰქონდა კიროვაბადში, სადაც დამარცხება განიცადა ადგილობრივ „დინამოსთან“ — 0:2.

მორიგი მატჩი ფოთელებს საკუთარ მინდორზე ჰქონდათ მახაჩყალის „დინამოსთან“ და კვლავ დამარცხდნენ — 0:1.

ა. ლომაია

• • •

„ბ“ კლასის მე-4 ზონის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 1:1, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „შირაქი“ (ლენინაკანი) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (კავმინვოდი)—„ლერნაგორცი“ (კაფანი) 3:0.

## ა. ზაზროევი — „ენერგეტიკის“ მწვრთნელი

დუშანბეს „ენერგეტიკი“ სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მონაწილეობს „ა“ კლასის II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში. გუნდს სადღეისოდ არასახარბიელო მაჩვენებლები აქვს — გათამაშების ცხრილში იგი ბოლო ადგილზეა.

„ენერგეტიკის“ ხელმძღვანელობა ამ ძნელ ეტაპზე დაევალა ახალ მწვრთნელს. ესაა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი.

## ტურნირი დამთავრდა

დამთავრდა „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების რესპუბლიკური ფინალური ტურნირი.

თბილისის „ლოკომოტივისა“ და ფოთის „კოლხიდის“ შეხვედრა ფაქტიურად წყვეტდა მესამე ადგილის საკითხს. ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1 და ლოკომოტიველებმა გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით დაიკავეს მესამე ადგილი.

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ცენტრალურ მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლისა და „დინამოს“ გუნდები.

მატჩი ჩატარდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

## ახალგაზრდა ოსტატის ნორმატივს ასრულებს

### რესპუბლიკის პირველობა ველოსპორტში

✦

ქუთაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა რესპუბლიკის პირველობა საგზატკეცილო ველოსპორტში. როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი თბილისის სპორტსმენებმა დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის, ხოლო მესამეზე — ზუგდიდის გუნდები.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ქალთა გუნდური რბოლა. გაიმარჯვა თბილისის წყვილმა (ვ. პოდოლსკაია — ლ. სტაშევსკაია — 32.55).

დაძაბული გამოდგა 100 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა ვაჟთა შორის. სტარტიდან ა. სტაშევსკი (თბილისი) და გ. მენიაილენკო (აფხაზეთი) დაწინაურდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ძირითად ჯგუფს ზუგდიდელი ე. სტარიკოვი გამოეყო. იგიც ლიდერებს შეუერთდა. 50 კილომეტრი ამ სამეულმა თანაბარ ტემპში გაიარა. შემდეგ კი მენიაილენკო ჩამორჩა. „გაქცეულთა“ დაწევა ახლა უკვე ნ. დიდკოვსკიმ (აჭარა), ვ. კეხბამ და მ. ბაქრაძემ (ორივენი—თბილისიდან) სცადეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოთხეულს კიდევ 8 სპორტსმენი შეუერთდა და აი, სწორედ ამ 12-კაციან ჯგუფში გაიმართა ბრძოლა პირველი ადგილისათვის.

ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე მოულოდნელად წინ გავიდა რბოლის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 18 წლის ბათუმელი მოსწავლე ვ. ლუცენკო. მისი გადაწყვეტილება ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა. ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე ლიდერის „დაჭერა“ მ. ბაქრაძემ და ა. სტაშევსკიმ სცადეს, მაგრამ ფინიში უკვე მოახლოვებული იყო. ახალგაზრდა ველოსიპედისტმა ვ. ლუცენკომ, რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონატში პირველად გამოდიოდა, აჩვენა 2:37.38 და შეასრულა ოსტატის ნორმატივი. მხოლოდ 19 წამის შემდეგ დაამთავრეს რბოლა მ. ბაქრაძემ და ა. სტაშევსკიმ. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი ველოსიპედისტები.

საერთო გაკვირვება გამოიწვია ის ფაქტმა, რომ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიიღო რუსთავის გუნდმა, რომელსაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ჰქონდა მაისში გამართულ მრავალდღიან ველორბოლაში.

მ. ბარამია





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე (მარცხნივ) რესპუბლიკის ჩემპიონი 100 კმ რბოლაში ვ. ლუცენკო (ბათუმი). წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ვ. პოდოლსკაია და ლ. სტაშევსკაია.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.



# დიდი სტარტის წინ

ბათუმის „განთიადის“ წყალჯომარდობის სადგურში ორ დღეს გრძელდებოდა ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა ცურვაში. გუნდები გამოიყვანეს მხოლოდ თბილისმა, აჭარამ და აფხაზეთმა.

საერთო გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდნენ აჭარის სპორტსმენები, მეორეზეა თბილისის კოლექტივი.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობს რესპუბლიკის სპორტკავშირის პრიზის გათამაშებაში. ეს შეჯიბრება აქ, ბათუმის ბაზაზე დაიწყო 28 ივნისს.

სურათზე: განთიადელ სპორტსმენთა შეჯიბრების ერთი მომენტი.

ფოტო და ტექსტი ა. ტულუშისა.

# რევანში მრძელდება

ამ ისტორიას ჩვეულებრივი სპორტული დასაწყისი აქვს. დასასრული კი... თუმცა დასასრულზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ვლადიმერ ცერცვაძის და ჯუმბერ კვანტალიანის ცხოვრების გზა სისხლხორცეულად დაუკავშირდა რინგს. ამაში გასაკვირი არაფერია. ორივე ერთ წონაში გამოდის, ორივე პერსპექტიულ მოკრივედ ითვლება, ორივე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და, რაც მთავარია, ორივეს სჯერა ერთმანეთის.

სპორტული მეტოქეები რინგზე და ახლო მეგობრები ცხოვრებაში ჩვენი კრივის უაღრესად ტექნიკურ წარმომადგენლებად ითვლებიან და რადგან ეს ასეა, მათი მუდმივი პაექრობა მთელი მოვლენაა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში.

ეს ამბავი ერთი წლის წინ დაიწყო — რესპუბლიკის უძლიერეს მოკრივეთა შერჩევითი ტურნირის დროს. რინგის კვადრატის ერთ კუთხეში ვ. ცერცვაძე იდგა, მეორეში კი ჯ. კვანტალიანი. დაიწყო ბრძოლა და კვანტალიანი ჯიქურ შეტევაზე გადავიდა. მაყურებელი მოხიბლული დარჩა მისი გონებამახვილური მოქმედებით. მეორე რაუნდში ცერცვაძემ თითქოს გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ საქმე სწორედ ამ „თითქოში“ იყო — ქუთაისელი მოკრივე უდაოდ ძლიერი იყო ბრძოლის დასკვნით ფაზაში და მსაჯებმაც გამარჯვება მას მიაკუთვნეს...

1964 წელი, ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი, უძლიერეს მოკრივეთა შერჩევითი ტურნირი. ფინალში ერთმანეთის პირისპირ კვლავ ძველი მეტოქეები დგანან.

ვლადიმერ ცერცვაძე!

ჯუმბერ კვანტალიანი!

აცხადებს დიქტორი და ბრძოლაც დაიწყო. მეტოქენი ამჯერად ფრთხილობენ. კვანტალიანმა კარგად იცის მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი და ცდილობს მის განხორციელებას ხელი შეუშალოს. პირველი რაუნდი გარეგნულად უფერული გამოდგა, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ მოკრივეები ძალებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ინახავდნენ.

ეს მომენტიც დადგა მესამე რაუნდში. მან ლამაზი გამარჯვება ცერცვაძეს მოუტანა. ბრძოლის სიმძაფრით აღტაცებული მაყურებელი გულთბილად მიესალმა როგორც ცერცვაძეს—გამარჯვებულს, ისე კვანტალიანს — ძალზე ტექნიკური კრივის თანამონაწილეს.

მაგრამ მათი პაექრობა ამით როდი დამთავრდა.

საბჭოთა კავშირის ზონალური ჩემპიონატის ნახევარფინალში (ეს მოხდა თბილისში, 24 მაისს) განუყრელი მეტოქეები კვლავ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. მაგრამ დინჯ და თავდაჭერილ ქუთაისელს ამჯერად ნერვებმა უმტყუნა. მან ერთბაშად სცადა შეხვედრის ბედის თავისკენ შემობრუნება და სწორედ ამაში შეცდა. ცერცვაძემ გააზრებული და გეგმაზომიერი მოქმედებით ბრძოლის ისარი თავის მხარეს გადახარა.

დამარცხებულმა ვაჟკაცურად მიულოცა წარმატება ცერცვაძეს და თან დასძინა:

— იცოდე, ოქროს მედლის გარეშე ჩამოსვლის უფლება არა გაქვს! გულახდილად ვამბობ, ღირსი ხარ ჩემპიონობის.

ვ. ცერცვაძე გულის სიღრმეში ალბათ იგივეს ფიქრობს. ჯუმბერს კი... მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რევანშის აღება. და ამ უფლებას მას ვერ წავართმევთ.

ე. ქელბაქიანი

◆ **ბერლინში** „ოლიმპიელის დღისადმი“ მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მძლეოსნობაში მონაწილეობდნენ რამდენიმე სახელმწიფოს სპორტსმენები, მათ შორის საბჭოთა სპორტსმენებიც. კარგი შედეგები აჩვენეს და გაიმარჯვეს საბჭოთა მძლეოსნებმა: ბაბინცევამ 800 მეტრზე რბენაში — 2 წუთი და 5,8 წამი, ბარკოვსკიმ — სიგრძეზე ხტომაში — 763 სანტიმეტრი. კულკოვამ 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 10,8 წამი, მაგრამ ფინიშზე მეორე იყო. აქ გაიმარჯვა გერმანელმა ბალცერმა—10,7 წამი.

◆ **ბელგრადში** დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. პირველ მატჩში ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა გუნდმა წააგო მასპინძლებთან ანგარიშით 2:3.

◆ **ჰოლანდიის** ქალაქ გრონინგენში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს ჰოლანდიელმა მოცურავე ქალებმა. მათი შედეგი კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100-ზე მსოფლიოს ახალი რეკორდია (4 წუთი და 39,1 წამი) — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავე ქალთა წინანდელ მსოფლიო რეკორდზე ერთი წამით უკეთესი.

◆ **ჭადრაკში** მსოფლიო პირველობის მერვე პრეტენდენტის გამოსავლინებელ მატჩში ს. რეშევსკისა და ლ. პორტიშს შორის პირველ პარტიაში გაიმარჯვა არა რეშევსკიმ, არამედ ლ. პორტიშმა. მეორე პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ამრიგად, 1,5:0,5-ზე წინ არის უნგრელი დიდოსტატი ლ. პორტიში.

◆ **შვეციის** ეროვნული რეკორდი გაუმჯობესა 110 მეტრზე თარჯრბენში ფორსანდერმა. მისი დროა 13,9 წამი. საინტერესოა, რომ ეს შედეგი 24 წლის წინათ დამყარებული რეკორდის გაუმჯობესებაა.

◆ **ამერიკის** შეერთებული შტატების პირველობაზე მძლეოსნობაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა ჰ. კონოლიმ. მის მიერ ნატყორცნი ურო 69 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე დაეცა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა მძლეოსნობის ისტორიაში საერთოდ.

# ლიდერთა ცვლა

თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა პირადი პირველობის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. იგი შეარჩევს 3-3 ხუთჭიდელ-სპორტსმენს მოზარდებსა და მოზრდილებს შორის, რომლებიც დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ღირსებას საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

ასპარეზობის მეორე დღე დაეთმო ფარიკაობას. ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში დილიდან საღამომდე ისმოდა დაშნების ჟღარუნი. ამ გრძელ „სამუშაო დღეს“ თვითეულ ხუთჭიდელს გამარჯვების გზაზე ელობებოდა 32 წინააღმდეგობა — 32 ორთაბრძოლა მოწინააღმდეგესთან. საჭირო იყო გამარჯვება 24 ბრძოლაში, რომ დაგემსახურებინა 1000 ქულა. ეს ამოცანა ყველაზე უკეთ გადაჭრა მოზარდმა თ. გოგინაშვილმა („სპარტაკი“), რომელმაც 25 ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა და 1040 ქულა ჩაიწერა აქტივში. მეორე ადგილი 880 ქულით წილად ხვდა ა. მაროტის. მესამეზეა — ა. შეროზია — 800 ქულა (ორივე „დინამო“).

შედარებით სტაბილური შედეგით დამთავრდა მოზრდილთა ორთაბრძოლები. 23 ბრძოლაში გამარჯვებულმა ი. მურომცევმა ორი სახეობის ჯამში დააგროვა 1915 ქულა და სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. მეორე ადგილი და 1885 ქულა აქვს ა. კრავჩენკოს, მესამე — ბ. მამულაშვილს („სპარტაკი“) — 1795 ქულა.

მესამე დღეს შეჯიბრებამ ავჭალის სასროლეთზე გადაინაცვლა. მოსალოდნელი იყო, რომ ფარიკაობაში „მარათონის“ შემდეგ სპორტსმენები დაღლილნი იქნებოდნენ, რაც სროლის შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენდა. მაგრამ მოხდა პირიქით. სასიხარულოა შედეგები, რომლებიც ამ დღეს იქნა ნაჩვენები. ეს განსაკუთრებით ითქმის ჭაბუკებზე. ახალგაზრდა დინამოელმა ა. შეროზიამ, რომელმაც 200-დან 195 სამიზნე დააზიანა, არავის დაუთმო პირველობა. ერთი ქულით ნაკლები აქვს ვ. ქერაშვილს („სპარტაკი“).

ლიდერებს შორის კი პისტოლეტიდან სროლამ კორექტივები შეიტანა. ა. კრავჩენკომ, რომელმაც მოზრდილებში ყველაზე უკეთ ისროლა, სამი სახეობის ჯამში დააგროვა 2845 ქულა და დაიბრუნა ლიდერობა. ი. მურომცევი 2815 ქულით მეორე ადგილზეა. მესამეზეა ბ. მამულაშვილი — 2575 ქულა.

გ. კალმახელიძე,
სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მსაჯი,
ა. მამულაშვილი.



სურათზე: ცხენოსნურ კროსში გამარჯვებული ა. კრავჩენკო.

ფოტო ი. იუნაევისა.

# „რაპანის თასის“ კენჭისყრა

ევროპაში პოპულარული საფეხბურთო ტურნირის — „რაპანის თასის“ საორგანიზაციო კომიტეტმა ჩაატარა მონაწილე გუნდების კენჭისყრა.

აი, მისი შედეგები: პირველი ჯგუფი — „სკ ლაიფციგი“ (გდრ), „ვოივოდინა“ (იუგოსლავია), „ვიენა“ (ავსტრია) და „იედნოტა“ (ჩეხოსლოვაკია).

მეორე ჯგუფი — „ემპორი“ (გდრ), „რადნიჩკი“ (იუგოსლავია), „ნორჩეპინგი“ (შვეცია), „გვარდია“ (პოლონეთი).

მესამე ჯგუფი — „ასკ ფორვერტსი“ (გდრ), „შომბიერკი“ (პოლონეთი), „ვინერ შპორტკლუბი“ (ავსტრია), „კოშიჩე“ (ჩეხოსლოვაკია).

მეოთხე ჯგუფი — „სკ კარლ მარქს-შტადტი“ (გდრ), „ოდრა“ (პოლონეთი), „სპარტაკი“ (ბულგარეთი), „ტატრანი“ (ჩეხოსლოვაკია).

მეხუთე ჯგუფი — „მალმე“ (შვეცია), „ფკ ტულუზა“ (საფრანგეთი), „დინამო“ (იუგოსლავია), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი).

მეექვსე ჯგუფი — აიკ-ი (შვეცია), „ფკ ანჟე“ (საფრანგეთი), „სარაევო“ (იუგოსლავია), „სლოვნაფტი“ (ჩეხოსლოვაკია).

მეშვიდე ჯგუფი — „დეგერფორსი“ (შვეცია), „რესინგი“ (საფრანგეთი), „შალკე 04“ (გფრ), „პოლონია“ (პოლონეთი).

ეს საერთაშორისო ტურნირი ერთ წელს გაგრძელდება.

„რაპანის თასის“ ახლანდელი მფლობელი — ბრატისლავის „სლოვნაფტი“, სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ყოველგვარი შეღავათის გარეშე მიიღებს მონაწილეობას შესარჩევ ჯგუფშიც, რაც ამ საერთაშორისო ტურნირის აუცილებელ პირობას შეადგენს.

# „თქვენ ბრტყელტერფა ხართ...“

„ესპანელ ფეხბურთელებს შორის გორმაცი, — წერს გერმანული გაზეთი „იუნგე ველტი“, — ითვლება ყველაზე კორექტულ მოთამაშედ. იგი არასდროს უხეშობდა, მსაჯსაც არ ეკამათებოდა. და აი, ყველას მოულოდნელად გორმაცი მოედნიდან გააძევეს. ფეხბურთის მინდორზე შექმნილი ერთ-ერთი საკამათო სიტუაციის დროს გორმაცი მივიდა მსაჯთან და უთხრა: „თქვენ ბრტყელფეხა ხართ. უნდა შეიძინოთ სპეციალური ფეხსაცმელი, რომ უფრო სწრაფად ირბინოთ“.

მსაჯმა ეს მიიღო, როგორც დიდი შეურაცხყოფა და გააძევა ფეხბურთელი მოედნიდან. მატჩის შემდეგ მან მაინც მიმართა ექიმს. ამ უკანასკნელმა დაადასტურა მსაჯის ბრტყელტერფიანობა და ურჩია სპეციალური ფეხსაცმლის შეძენა.

მსაჯმა გადაწყვიტა მისულიყო უსაფუძვლოდ გაძევებულ ფეხბურთელთან და ბოდიში მოეხადა მისთვის. როგორი იყო მსაჯის გაკვირვება, როცა მან გორმაცის ბინის კარზე ასეთი წარწერა ნახა: ფერნანდო გორმაცი, ექიმი-ორთოპედი.

# 1972 წლისათვის...

მიუხედავად იმისა, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ჯერ კიდევ არ დაწყებულა, სხვადასხვა ქვეყანა უკვე 1968 წლის ოლიმპიადისთვის ემზადება (XIX ოლიმპიადა, როგორც ცნობილია, მექსიკაში უნდა ჩატარდეს). ამას წინათ კი განამ 1972 წლის ოლიმპიური თამაშების მოწყობის უფლება მოითხოვა.

ქვეყნის დედაქალაქ აკრაში დაიწყო კომპლექსური სპორტული ბაზების მშენებლობა, რომლის ნაწილი 1966 წლისთვის უნდა დამთავრდეს.

# შიშს დიდი თვალები აქვს

ცნობილმა ფრანგმა რეგბისტმა ჟორჟ სტენემ ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლესი განათლების მიღება გადაწყვიტა და საამისოდ განცხადებით მიმართა ჩიკაგოს უნივერსიტეტს.

ჟ. სტენეს თავის განცხადებაზე ამერიკიდან უარი მოუვიდა. მიზეზად მასში ის იყო მოხსენებული, რომ იგი ოდესლაც მონაწილეობდა... მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალში. ეტყობა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს ეშინია კიდევ ერთი მოწმესი, რომელსაც შეუძლია ამერიკელ სტუდენტებს სიმართლე მოუთხროს საბჭოთა კავშირზე.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01268